# Baby Born



DERMATOLOGICALLY TESTED

ზრუნვა სიცოცხლის პირველი დღიდან

ჰიპოალერგიული ხაზი

# როდესაც საუბარია ახალშობილებზე, განსაკუთრებით სამი ასპექტია მნიშვნელოვანი:

## უსაფრთხოება

ტექნოლოგიური შესაძლებლობების მიხედვით პროდუქტებში გამორიცხულია კონსერვანტები.
დასაბანი საშუალებების ხაზმა "სუპერ-რბილის" სტატუსი მიიღო, რადგან არ შეიცავს პოტენციურ გამღიზიანებლებს:

- SLS (ნატრიუმის ლაურილ-სულფატი)
- SLES (ნატრიუმის ლაურეტ-სულფატი)
- PEG (პოლიეთილენ გლიკოლი)
- სულფატებს
- პარაბენებს
- საღებავებს

## ნატურალურობა









საბავშვო კოსმეტიკურ ხაზს საფუძვლად უდევს ორი ანთების საწინააღმდეგო კომპონენტი :

- კალენდულა (Calendula Officinalis)
- პანთენოლი (Provitamini B5)

კოსმეტიკურ ხაზს ნაზ მოყვითალო ფერს ქაცვისა (Hippophae Rhamnoides Oil) და კალენდულას ზეთები აძლევენ.
დასაბანი საშუალებების და შამპუნის სარეცხი საფუძველი კი მიღებულია ხორბლისა და ბრინჯისაგან, გარდა ამისა გამოიყენება ბალახების ნახარშები.

## ეფექტურობა

მოწინავე პედიატრიული გამოცდილებისა და კლინიკური კვლევების საფუძველზე შეიქმნა 0 დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მოვლის ხაზი.

**ყველა საშუალება ჰიპოალერგიულია** და გამორჩეულად რბილ კომპონენტს შეიცავს.

# ჰიპოალერგიული ხაზი




Baby Born

# როგორია ახალშობილის კანი?

ახალშობილის კანი არა მარტო გამოიყურება ნაზად, არამედ ძალზე მგრძნობიარეა. თავისი აგებულებითა და ფუნქციით ის არსებითად განსხვავდება დიდის კანისაგან.



- სიცოცხლის პირველ თვეებში ახალშობილებს თხელი კანი აქვთ, საიდანაც კარგად ჩანს სისხლძარღვები. ამიტომაც კანის ფერი ხშირად ღია ვარდისფერია.
- ახალშობილის ცხიმოვანი ჯირკვლები ჯერ არ ფუნქციონირებს, არ არის დამცავი ლიპიდური შრე - ამიტომაც კანის ზედაპირი სწრაფად კარგავს ნესტს და შრება.
- წყლის შემცველობა ახალშობილის კანში მეტია, ვიდრე დიდებისაში, ხოლო უჯრედების ძირითადი დამცავი ფენა - რქოვანა ჯერ კიდევ ძალზე თხელია, რაც იწვევს ადვილ გაღიზიანებას.
- დამცავი მჟავა გარსი, რომელიც კანზე ქმნის მავნე ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისაგან ბუნებრივ ბარიერს უფრო მოზრდილ ასაკში ყალიბდება ახალშობილთა კანის მჟავა-ტუტოვანი მაჩვენებელი (pH) 6,7-ს შეადგენს, ხოლო დიდებში - 5,5-ს.

## პედიატრების რეკომენდაცია:

სიცოცხლის პირველ წელს პატარა ფაქტიურად კანით "სუნთქავს", ხოლო სინთეტიკური საღებავები - პოტენციური ალერგენებია. ამიტომაც სასურველია ბავშვის ის ტანისამოსი, რომელიც კანთან არის შეხებაში იყოს თეთრი ფერის (საღებავების გარეშე) და ნატურალური - 100%-იანი ბამბა ან სელი



# მოვემზადოთ ბანაობისათვის

- სააბაზანოს ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ 24⁰C-სა
- აბაზანა წყლით ნახევრამდე აავსეთ
- აბაზანაში დაამატეთ დასაბანი საშუალება
- წყლის ოპტიმალური ტემპრატურა დაახლოებით 37⁰C უნდა იყოს
- ბავშვს სახე დაბანეთ ფრთხილად და მხოლოდ სუფთა წყლით
- ბანაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს 5-6წთ-ს
- ახლოს გქონდეთ საკმაოდ დიდი ზომის გამთბარი პირსახოცი
- ბანაობის შემდეგ ბავშვი გაახვიეთ თბილ პირსახოცში; ნაზად გაამშრალეთ, დააშრეთ საშრობივით, განსაკუთრებით მოხრის ადგილებში.







# როდის არის ბანაობისათვის საუკეთესო დრო?

## ბანაობა არა მარტო ჰიგიენაა, არამედ გართობაც

ბანაობისათვის იდეალური დრო არ არსებობს. მნიშვნელობა არა აქვს როდის აბანავებენ ბავშვს: დილით, შუადღეს, თუ საღამოს. მთავარია ეს პროცედურა ჩატარდეს წყნარ სიტუაციაში და აჩქარების გარეშე. თუმც დაბანა აადვილებს ჩვილის ჩაძინებას. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცედურა ერთიდაიგივე დროს ჩატარდეს, ხოლო წყალი კომფორტული ტემპერატურის იყოს. 19-00 სთ-ის მერე ემოციურ თამაშებზე უარის თქმა დამატებით ეხმარება ”ჭირვეულის მორჯულებაში”. კარგად განიავებულ ოთახში ძილი კი უფრო ღრმა და ხანგრძლივი იქნება



**ბავშვი უნდა აბანაოთ ყოველდღე, ხოლო ცხელ ამინდში უფრო ხშირად**

# როგორ მოვუაროთ ბავშვის კანს ბანაობის შემდეგ

გოგონების სასქესო ორგანოები უნდა გასუფთავდეს წინიდან - უკან. კრემი არ უნდა წაუსვათ სასქესო ორგანოების ლორწოვანზე. ბიჭებში ჩუჩა არ უნდა გადაეწიოს იმაზე მეტად ვიდრე ბუნებრივი წინააღმდეგობაა

**კრემის წასმისას გახსოვდეთ:**

კრემის თხელი ფენა სრულიად საკმარისია.
კრემის ზედმეტი რაოდენობა უარყოფითად აისახება საფენის შეწოვისუნარიანობაზე.

**პედიატრების რეკომენდაცია:**

6 თვემდე შამპუნის და საპონის გამოყენება მიზანშეწონილი არა არის – დაბანისთვის საკმარისია წყალი. შემდგომში ძალიან რბილი შამპუნის გამოყენებაც კი, უმჯობესია კვირაში ერთხელ, რადგან ხშირმა გამოყენებამ შეიძლება კანის დამცავი საფარის მთლიანობა დააზიანოს და სიმშრალე და აქერცვლა გამოიწვიოს....



“BABY BORN”–ის ხაზი ითვალისწინებს ბავშვის მგრძნობიარე კანის ყველა ამ თავისებურებას და პედიატრების რეკომენდაციას, იმის შესახებ რომ ბავშვის მოვლისათვის სპეციალური სერია უნდა იქნას შექმნილი. ეს სერია კომპონენტების მინიმალურ რაოდენობას უნდა შეიცავდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ალერგიის განვითარების რისკი

**დასაბანი და მოვლის საშუალებები არ უნდა შეიცავდეს:**

- საღებავებს
- კონსერვანტებს
- მინერალურ ზეთებს
- არომატიზატორებს
- ეთერზეთებს
- SLS (ნატრიუმის ლაურილ-სულფატი)
- SLES (ნატრიუმის ლაურეტ-სულფატი)
- PEG (პოლიეთილენ გლიკოლი)
- სულფატებს
- პარაბენებს



## “ბეიბი ბორნის” მოვლის საშუალებებში ნატურალური კომპონენტების ჰარმონიული შეხამება ნაზად უვლის და იცავს ჩვილის კანს

### კალენდულას ზეთი - Calendula officianalis
კალენდულას ყვავილი შეიცავს ეთერზეთებს, კაროტინოიდებს (α და β –კაროტინი,ლუტეინი და ა.შ.), ფლავონოიდებს და სხვა აქტიურ ნივთიერებებს. კალენდულა ასტიმულირებს ახალი უჯრედების წარმოქმნას, ახასიათებს ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შეხორცების ხელშემწყობი თვისებები; კალენდულას ნახარში დამამშვიდებლად მოქმედებს ცნს-ზე (ცენტრალური ნერვული სისტემა), ხსნის რეფლექსურ დაძაბულობას.

### ნუშის ზეთი - Prunus Amygdalus Dulcis Oil
ნუშის ზეთი მდიდარია ვიტამინებით(A, B1, B2, B6, E), გლუკოზიდებით, მინერალებითა და შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავებით. ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში, კვებასა და ფარმაცევტულ წარმოებაში. წარმოადგენს სამკურნალო და კოსმეტიკური საცხების საფუძველს; არბილებს კანს და ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს.

### ქაცვის ზეთი - Hippopfae Rhamnoides Oil
ქაცვი მდიდარია შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავებით, ვიტამინებით (K, B1, B2, B36, P, E), მინერალებითა და აქტიური ნივთიერებებით. β – კაროტინის მაღალი შემცველობა ზეთს აძლევს ნარინჯისფერ შეფერილობას; კაროტინს აქვს რეგენერაციის უნარი და კანისა და ლორწოვანის დაზიანების დროს ასტიმულირებს გრანულაციას; ქაცვის ზეთში შემავალ ეთერზეთებს ახასიათებს ანტიბაქტერიული მოქმედება; ქაცვის ზეთი ხელს უწყობს ეპითელიზაციას და ჭრილობების შეხორცებას.

### ყურძნის წიპწის ზეთი - Vitis Vinifera Seed Oil
ყურძნის წიპწის ზეთი შეიცავს შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინებსა (A, B, C, E, F, PP) და მიკროელემენტებს; ვიტამინი F ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, რომელიც აღადგენს, იცავს თავის კანს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას; ზეთის 70%-ს შეადგენს ლინოლენის მჟავა-ომეგა 6, რომელიც ატენიანებს კანს და აუმჯობესებს კანის რეგენერაციულ პროცესებს; ყურძნის წიპწის ზეთს გააჩნია ძლიერი ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება, კარგად შეიწოვება, ჭიმავს კანს და ანიჭებს ჯანმრთელ ფერს;

### გვირილა - Chamomilla Recutita
გვირილა შეიცავს ეთეროვან ზეთებს, სილიცილსა და ასკორბილის მჟავებს, კაროტინს, ცხიმოვან მჟავებს, ქოლინსა და სხვა აქტიურ ნივთიერებებს; ახასიათებს მადეზინფიცირებელი, ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო თვისებები; აძლიერებს რეგენერაციის პროცესს; ამშვიდებს ცნს-ს (ცენტრალური ნერვული სისტემა).

### ორკბილა - Bidens Tripartita
ორკბილა შეიცავს ეთერზეთებს, ვიტამინ C, კაროტინს, ფლავონოიდებსა და მრთიმლავ ნივთიერებას. ორკბილას აქვს ძლიერად გამოხატული ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული მოქმედება; ორკბილას აბაზანები ძალზე ეფექტურია ჩვილის თოთო კანის ისეთი პრობლემების დროს, როგორიცაა გამონაყარი, გამოყელვა და ა.შ. , რასაც განაპირობებს მასში შემავალი ზეთოვანი ექსტრაქტი; ეფექტურია ბავშვთა დიათეზის და ეგზემის დროს.

### პანთენოლი - provitamini B5
პანთენოლი ანიჭებს კანს ელასტიურობას, ატენიანებს და არბილებს მას; ხსნის დაძაბულობას; აძლიერებს კოლაგენური ბოჭკოების სიმკვრივეს. გამოიყენება საბავშვო კოსმეტიკაში; პანთენოლი აჩქარებს ქსოვილების რეგენერაციას რთულად შესახორცებელი ჭრილობების შემთხვევაში.

# დამცავი კრემი საფენის ქვეშ

**თვისება:**

ზეთებით გაჯერებული კრემი, რომელიც ბავშვის ნაზი კანისათვის სანდო ბარიერს ქმნის და მრავალფუნქციურ მოქმედებას ახდენს

- ატენიანებს
- იცავს და არბილებს კანს
- ჰიპოალერგიულია
- არ შეიცავს კონსერვანტებს
- არ შეიცავს სინთეტიკურ საღებავებს
- თუთიის მაღალი კონცენტრაციის გამო (30%), ანთების და კანის გაღიზიანების ნიშნებს საგრძნობლად ამცირებს
- კალენდულას ზეთი მდიდარია ანთების საწინააღმდეგო E და A ვიტამინებით, რომლებიც ხელს უწყობს კანის დაზიანებული ადგილების უფრო სწრაფ აღდგენას
- კრემის ზეთებით გაჯერებული საფუძველი იცავს საფენში ზედმეტი ტენის გაჩენისგან.




**სიცოცხლის პირველი დღიდან**
- საღებავების გარეშე
- კონსერვანტების გარეშე
- 30% თუთიის მჟავა

**დანიშნულება:**

საფენის დერმატიტის საპროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ;
იღლიის და კისრის ნაკეცების არეში შეწითლების, გაღიზიანების და გამოყელვის სამკურნალოდ.

**გამოყენება:**

- გასუფთავებულ კანზე თხელ ფენად წასასმელად გამოიყენება დღეში 3-ჯერ
- პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება გაღიზიანების გაჩენამდე, განსაკუთრებით, საფენის ხანგრძლივი მოხმარების დროს.

**აქტიური ნივთიერებები:**

თუთიის მჟავა (30%),
კალენდულას ზეთი (Calendula Officinalis)

# ბავშვის ზეთი სხეულისათვის




**სიცოცხლის პირველი დღიდან**
- საღებავების გარეშე
- არომატიზატორების გარეშე
- სამი მცენარეულ ზეთის საფუძველზე

**თვისება:**

- ატენიანებს და არბილებს კანს
- გამოიყენება მგრძნობიარე კანის მოვლისთვის
- ჰიპოალერგიულია

ზეთის სისტემატიური გამოყენება აუმჯობესებს კანის ბარიერულ ფუნქციას: ის უფრო დატენიანებული და გლუვი ხდება.
კალენდულას ზეთი მდიდარია ანთების საწინააღმდეგო E და A ვიტამინებით.
ვიტამინები ასევე ხელს უწყობს კანის დაზიანებული ადგილების უფრო სწრაფ შეხორცებას. ზეთის მკვრივი სტრუქტურის გამო შეიძლება მისი გამოყენება მასაჟისათვის.

**დანიშნულება:**
ზეთის მცირე რაოდენობა წაესვას დაბანის შემდეგ და ნაზად შეეზილოს.

**გამოყენება:**
იდეალურია ყოველდღიური მოვლისა და მსუბუქი მასაჟისთვის.

**აქტიური ნივთირებები:**
ნუშის ზეთი (Prunus Amygdalus Dulcis Oil), კალენდულას ზეთი (Calendula Officinalis), ქაცვის ზეთი (Hippophae Rhamnoides Oil), ვიტამინი E

**უპირატესობა:**

- ადვილად შეიწოვება
- არ ტოვებს მწებავ, ცხიმიან ნარჩენს
- საღებავებისა და არომატიზატორების გარეშე

# გამწმენდი ზეთი სებორეული ქერქის მოსაცილებლად

**თვისება:**
მცენარეული ზეთების ნაკრები მრავალფუნქციურ ეფექტს ახდენს

ატენიანებს, იცავს და არბილებს კანს
- ჰიპოალერგიულია
- არ შეიცავს კონსერვანტებს და სინთეტიკურ საღებავებს
- ზეთში უჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი კონცენტრაციის გამო (ვიტამინი F), პრეპარატი არბილებს სებორეულ ქერქს და ხელს უწყობს მათ სწრაფ აქერცვლას.
- ქაცვის ზეთში შემადგენელ A და E ვიტამინებს სიწითლის პრევენციის თვისება გააჩნიათ.




25მლ.

სიცოცხლის პირველი დღიდან
– საღებავების გარეშე
– კონსერვანტების გარეშე
– 90% ნუშის ზეთი

**დანიშნულება:**
სებორეული ქერქის დასარბილებელი

**გამოყენება:**
პრობლემურ უბანზე წაისვას ზეთის მცირე რაოდენობა.
10-15 წუთში მოცილდეს ქერქები
პროცედურა განმეორდეს საჭიროების მიხედვით.



**აქტიური ნივთიერებები:**
ნუშის ზეთი(90%) (Prunus Amygdalus Dulcis Oil)
კალენდულას ზეთი (Calendula Officinalis)
ქაცვის ზეთი (Hippophae Rhamnoides Oil)
ყურძნის წიპწის ზეთი (Vitis Vinifera Seed Oil)
ვიტამინი E

**უპირატესობა :**
- ანალოგის ბაზარზე არ არსებობს
- საღებავებისა და კონსერვანტების გარეშე
- 90% ნუშის ზეთი

# ჩვილის დასაბანი ბალახეული ნაკრები

**თვისება:**
- სამკურნალო მცენარეების საფუძველზე დამზადებული თბილი აბაზანა დელიკატურად უვლის და ასუფთავებს ჩვილის მგრძნობიარე კანს.
- ხელს უწყობს ბავშვის სხეულის მოდუნებასა და მშვიდ ძილს.
- პანთენოლი კი დაბანის დროს არბილებს და ატენიანებს კანს.

**დანიშნულება:**
ჩვილის კანის მოვლისა და გასუფთავებისათის.

**აქტიური ნივთიერებები:**
კალენდულას ნახარში (Calendula Officinalis)
ორკბილას ნახარში (Bidens Tripartita)
გვირილის ნახარში (Chamomilla Recutita)
პანთენოლი (პროვიტამინი B5)

**გამოყენება:**
2 საზ/ ხუფი (15 ლ) გაიხსნას აბაზანის წყალში

**უპირატესობა:**
შემადგენლობაში გამოყენებულია 100% ბალახეულის ნახარში.

არ შეიცავს:
SLS (ნატრიუმის ლაურილსულფატს)
SLES (ნატრიუმის ლაურეტსულფატს)
PEG (პოლიეთილენ გლიკოლი)
სულფატებს
პარაბენებს
საღებავებს

350მლ.



# ჩვილის დასაბანი საშუალება

**თვისება:**

- დელიკატური ქაფი საშუალებას იძლევა დაბანა მხიარულ თამაშად იქცეს
- იგი საერთოდ არ აღიზიანებს თვალის ლორწოვან გარსს
- მცენარეული სარეცხი კომპონენტები - ბრინჯის, ხორბლის ცილების და შაქარის ნარევია - ქმნის ნაზ ქაფს და არ არღვევს კანის დამცავ საფარს
- დაბანის შემდეგ ბავშვის კანი რბილი და დატენიანებული რჩება
- კალენდულას და პანთენოლის ექსტრაქტის კომპლექსს ორმაგი ეფექტი ახასიათებს: არბილებს და ამშვიდებს ბავშვის ნაზ კანს.




350მლ.

**დანიშნულება:**
ჩვილის კანის მსუბუქი გასუფთავება და დატენიანება

**გამოყენება:**
დასაბანი საშუალების მცირე რაოდენობა ჩაისხას წყლის ნაკადის ქვეშ.

**აქტიური კომპონენტები:**
კალენდულას ექსტრაქტი (Calendula Officinalis)
პანთენოლი (პროვიტამინი B5)

**უპირატესობა :**
დასაბანი საშუალებისა და შამპუნის სარეცხი საფუძველი მიღებულია- ბრინჯისა და ხორბლისგან
არ იწვევს ცრემლდენას

**სიცოცხლის პირველი დღიდან**
– ცრემლების გარეშე
– უხეში სარეცხი კომპონენტების გარეშე

**დასაბანმა საშუალებამ მიიღო სტატუსი "სუპერ-რბილი",რადგან არ შეიცავს პოტენციურ გამაღიზიანებლებს:**
SLS (ნატრიუმის ლაურილ-სულფატი), SLES (ნატრიუმის ლაურეტ-სულფატი), PEG (პოლიეთილენ გლიკოლი), სულფატებს, პარაბენებს, საღებავებს

# ნაზი შამპუნი თმისათვის

**თვისება:**

- დელიკატურად ასუფთავებს მგრძნობიარე კანს და თმას,
- არ იწვევს ცრემლდენას
- მსუბუქი სარეცხი კომპონენტების სპეციალური ფორმულა (ბრინჯის და ხორბლის ცილების ნარევი შაქართან ერთად) დელიკატურად წმენდს და არ არღვევს კანის დამცავ საფარს
- პროცედურის შემდეგ თმები რბილი და იოლად დავარცხნადი ხდება
- კალენდულას ექსტრაქტი – იცავს თავის კანს გაღიზიანებისგან
- პანთენოლი კი თმას დამატებით ბზინვარებას ანიჭებს.




**გამოყენება:**
პრეპარატის მცირე რაოდენობა წაუსვით ბავშვის კანს და თმას, აქაფდეს და ჩამობანეთ წყლით.

**დანიშნულება:**
ბავშვის მსუბუქი გასუფთავებისა და თმის მოვლისათვის

**აქტიური ნივთირებები:**
კალენდულას ექსტრაქტი (Calendula Officinalis)
პანთენოლი (პროვიტამინი B5)

**უპირატესობა:**
დასაბანი საშუალების და შამპუნის სარეცხი საფუძველი მიღებულია- ბრინჯისა და ხორბლისგან დასაბანმა საშუალებამ მიიღო სტატუსი "სუპერ-რბილი",რადგან არ შეიცავს პოტენციურ გამაღიზიანებლებს:

SLS (ნატრიუმის ლაურილ-სულფატი)
SLES (ნატრიუმის ლაურეტ-სულფატი)
PEG (პოლიეთილენ გლიკოლი)
სულფატებს
პარაბენებს
საღებავებს



# ზრუნვა მომავალ დედებზე

**mama care**

**Baby Born**





საუკეთესოა ორსულობის პირველი დღიდან

Фармацевтическая фабрика
НПО «ЭЛЬФА»



**ჯილდოები:**
SYSTEM OF MANAGEMENT ISO 9001
“EUROPE AWARD FOR QUALITY” SPAIN, 2009
PANACEA 2008

**Baby Born**

**ოფიციალური დისტრიბუტორი:**
შპს “სი თი ენ ჯორჯია” მის.: მ.გელოვანის 2
ტელ.: (+9925 32) 236 84 84 ; (+9925 32) 237 19 97
ელ-ფოსტა:ctngeorgia@yahoo.com

facebook Babyborn Georgia